1 ოქტომბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II]

ყრმა იესოსა და უფლის წმიდა სახის წმ. თერეზა, ქალწული, კარმელიტელი, ეკლესიის მოძღვარი, +1897 ლიზიეში (საფრანგეთი), (მ), თ

იობ 3,1-3.11-17.20-23; ფს 87; ლკ 9,51-56

მისიონერთა თვე

სრულდებოდა დღეები ლკ 9,51

"... როდესაც მოახლოვდნენ მისი ამაღლების დღენი." იესო მომლოცველობის გზას დაადგება იერუსალიმისკენ. სრულიად განსხვავებულ გზას, რამეთუ იცის, რომ ეს გზა საბოლოო და ჭეშმარიტია. ამჯერად, მიდის არა ღვთის ტაძარში, არამედ თავად ღმერთთან, რომელიც ზეცაში ელის. დღიდან დღემდე მის გვერდით ვარ და მასთან ერთად ვუძღვნი თავს ზეციერ მამას.

2 ოქტომბერი

ოთხშაბათი:
2024

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II]

წმ. მფარველ ანგელოზთა, (მ), [ს], თ

გამ 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

მათი ანგელოზები ცაში
ხედავენ რეში მამის სახეს მთ 18,10

მადლობა შევწიროთ მამას, რომელიც განსაცდელის წუთებში გვქომაგობს და გვაიმედებს. თითოეულ ჩვენგანზეა მისი მზერა მოპყრობილი, იმ ანგელოზთა წყალობით, ვისაც მფარველად გვიგზავნის. მეტადრე, ვინც ჩაგრული და დაკნინებულია, ვინც მცირეა, არ უნდა შერცხვეს, რამეთუ ღმერთის წინაშე მისი წარმომადგენელია!

3 ოქტომბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II], მწ

იობ 19,21-27; ფს 26; ლკ 10,1-12

ევედრეთ სამკლის პატრონს ლკ 10,2

იესო გზავნის სამოცდათორმეტს, რათა ისევე მოამზადონ მისი მოსვლა, როგორც ქვეყნის მეფეები იქცეოდნენ. ბევრია სამოცდათორმეტი, თუმცა არა საკმარისი. ამიტომაც, მათი პირველი მოვალეობა იქნება ლოცვა მასზედ, რომ მამამ სხვებიც გამოგზავნოს. მათ არ უნდა ეძიონ ისინი, ამ საქმეშიც მამას მიენდობიან.

4 ოქტომბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II]

წმ. ფრანცისკე ასიზელი, ფრანცისკელთა დამაარსებელი, +1226 ასიზიში, (მ), თ

იობ 38,1.12-21;40,3-5 ფს 138; ლკ 10,13-16

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

და ანუცახადე პატარებს მთ 11,25

წმინდა ფრანცისკე ერთ-ერთი ამ მცირეთაგანია: მამისგან ებოძა დიად და მნიშვნელოვან „საქმეთა“ გაცხადება. საუნჯედ აქცია და სრულად შეცვალა თავისი ცხოვრება. მთელი თავისი დრო მათ დაუთმო და თავადაც მამის წყალობად იქცა ჩვენი ხალხისა და მთელი ეკლესიისთვის, უფრო მეტიც, მთელი მსოფლიოსთვის, რომელმაც ურიცხვი სიკეთე მიიღო იმ სიბრძნიდან და სათნოებიდან, რაც გადმოდიოდა უფლისადმი მისი სიყვარულით.

5 ოქტომბერი

შაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II], მწ

წმ. ფაუსტინა კოვალსკა, პოლონელი მონაზონი, +1938 კრაკოვში

იობ 42,1-3.5-6.12-17; ფს 118; ლკ 10,17-24

რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

შენ ჟო-ველიმე ძალიძს

იობ 42,2

იობი მიხვდა, რომ ღმრთის სიბრძნე ბევრად აღემატება მის სიბრძნეს, უფრო მეტიც, იძულებულია აღიაროს საკუთარი უმეცრება და აღიარებს კიდეც, რომ ღმერთი არა ოდენ ბრძენია, არამედ ძლევამოსილიც. არაფერია მისთვის შეუძლებელი. იობის ნათქვამი, გარკვეულწილად, მეც მეხება. ღვთის სიტყვის წინაშე მხოლოდ დუმილი და მოსმენა თუ ძალმიძს.

6 ოქტომბერი

 კვირა 2024

რიგითი XXVII კვირადღე, «ბ», [III], მწ

[წმ. ბრუნო, ხუცესი, დიდი მარტრის დამაარსებელი, +1101 კალაბრიაში]

დაბ 2,18-24; ფს 127; ებრ 2,9-11; მარ 10,2-16

ვინცა ცოლს აუშვებს და სხვას შეირთავს, მრუშობს მარ 10,11

რამხელა საიდუმლოა ოჯახი! იესოც ღმერთის ჩანაფიქრის თანახმად უყურებს მას. ადამიანი, თავისი უსუსური სიყვარულის გამო, განუხორციელებლად მიიჩნევს ქორწინების განუყოფლობას, ამიტომაც მიმართავს გაყრებს და გარიგებებს. განუხრელად ვილოცოთ, რათა დედამიწაზე ხარობდეს წმინდა და ჭეშმარიტი სიყვარული.

7 ოქტომბერი

ორშაბათი
2024

სავარდის ნეტარი ქალწული მარიამი, (მ), თ

გალ 1,6-12; ფს 110; ლკ 10,25-37

ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ერთმა სამარიელმა დაინახა იგი და შეებრალა ლკ 10,33

წმინდა სავარდის თანხლებით დავფიქრდეთ იესოს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე: იგი ის სამარიტელია, რომელიც ყაჩაღების თავდასხმის შედეგად დაჭრილ და განადგურებულ კაცს ეხმარება. იესო ამჩნევს ჩვენს ჭრილობებს და დახმარების ხელს გვიწვდის. თავის აგებულ ნაგებობაში - ეკლესიაში მივყავართ და ზრუნავს ჩვენზე, რათა სავსე ცხოვრებაში დაგვაბრუნოს. ღვთისმშობლის მიერ შეწევნილნი ვაჩვენებთ მზაობას, რათა ჩვენი მეშვეობით კვლავაც გამოხატავდეს თავის თანალმობას.

8 ოქტომბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVII კვირა [III], მწ

(25.IX) წმ. არსენ დიდი კათალიკოსი, +887

გალ 1,13-24; ფს 138; ლკ 10,38-42

მარიამი... ისმენდა მის სიტყვას ლკ 10,39

ამაღელვებელი სცენაა. იესოს განახლება, ძალების აღდგენა სჭირდება, ჩვენ კი როგორ მივცემთ ამ ძალას, თუკი მის მიერ ბოძებულ საკვებს არ მივიღებთ და თავს არ განვიახლებთ? მარიამი იესოს წარმოთქმული სიტყვით საზრდოობდა, რათა შემდგომ მის მსახურებაში ჩამდგარიყო და მისთვის არა მხოლოდ პურის ნაჭერი მიეცა, არამედ მთელი თავისი ცხოვრება.

წმ. დიონისე პარიზის ეპისკოპოსი და მისი მეგობრები, წამებულნი, +III ს.

წმ. იოანე ლეონარდი, ხუცესი, დედა ღვთისას მოწესე მღვდელთა დამაარსებელი, +1609 რომში.

გალ 2,1-2.7-14; ფს 116; ლკ 11,1-4

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

იესო ერთ ადგილას ლოცულობდა ლკ 11,1

ეგონა მარტო იყო, თუმცა მოწაფეებმა დაინახეს; დაინახეს რომ ლოცულობდა და უკვირდათ, როგორ ლოცულობდა? რატომ ანათებდა ლოცვისას მისი სახე ? ნუთუ ჩვენც შეგვწევს მისებურად ლოცვა? ეკითხებიან და ისიც პასუხობს. ნუთუ შევძლებთ, მის მსგავსად წარმოვთქვათ ეს სიტყვა - „მამა?

10 ოქტომბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVII კვირა [III], მწ

გალ 3,1-5; საგ.: ლკ 1,69-75; ლკ 11,5-13

ითხოვეთ და მოგეცემათ ლკ 11,9

ვისაც მამის შეცნობა და მისი განდიდება გადაუწყვეტია, ვინც ცხოვრებაში ქრისტესმიერი თავშეწირვის გზას დაადგა, მას თხოვნაც შეუძლია. რას ითხოვს, თუ არა მას, რაც მის სამეფოს და მისი დიდების გაცხადებას მოემსახურება? მაშინ, პირველ რიგში, ჩვენს გულში ვიხილავთ ღმერთის საქმეებს, რითაც მხოლოდ ამ სურვილს ვინატრებთ - მისი სიყვარულით ვიცხოვროთ.

11 ოქტომბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXVII კვირა [III], მწ

წმ. იოანე XXIII, პაპი, +1963 რომში

გალ 3,7-14; ფს 110; ლკ 11,15-26

როცა მასზე ძლიერი თავს დაესხმის... ლკ 11,21

"...აჰყრის საჭურველს "
ეს გადამწყვეტი ბრძოლაა. მტრის მიერ დაკავებულ კარ-მიდამოს უფრო ძლიერი ეპატრონება. იმარჯვებს, სახლს ათავისუფლებს, აახლებს და საკუთარ სამკვიდროდ აქცევს. კარ-მიდამო - ჩემი გულია, ვინც მას იკავებს, ანგრევს მას და ტანჯვას გვრის. მოდის უფრო ძლიერი და ეს შენ ხარ იესო. დამხვდური უნდა წავიდეს, ხოლო შენ, იესო, დარჩი, მხოლოდ შენ მინდა მას დაეპატრონო.

გალ 3,22-29; ფს 104; ლკ 11,27-28

ნეტარ არიან ვინცა ისმენენ ღმერთის სიტყვას ლკ 11,28

ნეტარნი არიან, ანუ ღმერთთან ახლოს, ისინი, ვინც მისი სიტყვით საზრდოობს და მას საკუთარი ცხოვრების პროგრამად აქცევს. მართლაც ნეტარი და მარადისობით სავსეა ის, ვინც სიბრძნისა და სიყვარულის სიტყვაში ჩაძირულა; სიტყვაში, რომელიც გმობს ცოდვას და აკურთხებს, ანუ ცდილობს ცოდვილის გადარჩენას. ნეტარ ხარ შენ, მარიამ, ვისგანაც ვეძლევი შთაგონებასა და გამბედაობას.

სიბრძ 7,7-11; ფს 89; ებრ 4,12-13; მარ 10,17-30

იესო დააკვირდა მას და შეუყვარდა მარ 10,21

გამჭოლია იესოს მზერა: გულში აღწევს და სიწმინდეს ჰფენს. აჰა, შურდულივით მოდის და იჭერს სიცოცხლის მაძიებელთა მზერას, და რა ხდება? გული - იესოს სიყვარულის სამიზნე, უკვე დაკავებულია, გამოუსადეგარი საგნებით, მაგრამ საკმარისია იმ ურთიერთობის გასაწყვეტად, რომელსაც გადარჩენა ძალუძს. იესო, მომამპყარ შენი მზერა და მე გიპასუხებ.

14 ოქტომბერი

ორშაბათი 2024

რიგითი ჟამის XXVIII კვირა [IV], მწ

(1.X) დღესასწაული კვართისა; წმმ. მირიან და ნანა, IVს.; წმ. მელქისედეკ I, კათალიკოს-პატრიარქი, +1033 წმ. კალიქსტე I, პაპი, წამებული, +222

გალ 4,22-24.26-27.31-5,1; ფს 112; ლკ 11,29-32

მცხეთობა (სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული)

აქ იონაზე დიდია ლკ 11,32

იონა არ იყო ძლიერი: იმ წუთებში, როდესაც წინასწარმეტყველად მოუხმეს, თავხედურად იჯიუტა, შემდეგ მოინანია, თუმცა მაინც უჭირს ღვთის გულმოწყალების მიღება. უღმერთოდ მყოფებმა კი მაინც მოუსმინეს და დაემორჩილეს. იესო თავიდანვე მორჩილი შვილია და მზად არის მამის გულმოწყალება გასაცხადებლად. რად არ ვუსმენთ მას?

15 ოქტომბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVIII კვირა [IV]

(2.X) წმმ. დავითი და კონსტანტინე, მოწამენი +740 (მ), წ
წმ. თერეზა ავილელი, კარმელის რეფორმატორი,
ქალწული, ეკლესიის მოძღვარი, +1582, (მ), თ

გალ 5,1-6; ფს 118; ლკ 11,37-41

მ. მიხეილ თარხნიშვილის გახსენება (+1958)

ჩვენ კი სულით ველით
სიმართლის სასოს რწმენისაკენ გალ 5,5

დღეს, წმინდა ტერეზა თავისი მაგალითით
გვეხმარება, რომ დავეყრდნოთ რწმენას,
როგორც ამას წმინდა პავლე აცხადებს.
ნდობა ჩვენს მიერ ჩადენილ კეთილ საქმე-
ებს კი არ უნდა გამოვუცხადოთ, არამედ
სიყვარულს, რასაც იესო გასცემდა და გასცე-
მს ჩვენზე ჯვარცმით სიკვდილამდე. იესოს
შეწევნით ხდება ჩვენი გული სამართლიანი,
მამისთვის მოსაწონი.

16 ოქტომბერი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი ჟამის XXVIII კვირა [IV], მწ

წმ. იადვიგა, ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი, +1243 სილეზიაში; / წმ. მარგარიტა მარია ალაკოკი, ქალწული, +1690 პარეილომონიალში (საფრანგეთი); წმ. ჯუზეპინა ვანინი, ქალწ., +1911

გალ 5,18-25; ფს 1; ლკ 11,42-46

ხოლო სულის ნაყოფია სიყვარული გალ 5,22

წმინდა პავლე ცხოვრების ორ შესაძლო გზას გვაჩვენებს: ხორცისმიერს და სულისმიერს. პირველ გზას ისინი ადგანან, ვინც ვერ შეიცნო იესო, ხოლო მეორეს, ვინც მის მორჩილებაში ჩადგა და მისგან სიცოცხლის სუნთქვა შეიძინა. განა ეს თვალსაჩინო არაა? ეს უკანასკნელნი ხომ სიხარულის, მშვიდობის, სიყვარულის მატარებელნი არიან, მოთმინებისა და თვითმფლობელობის, ანუ თავშეკავების, სიწმინდის, ზომიერების ყოველ საქმეში, ლაპარაკშიც და ჭამაშიც.

17 ოქტომბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVIII კვირა [IV]

წმ. ეგნატე, ანტიოქიის ეპისკოპოსი, წამებული, +~107 რომში, (მ), წ

ეფეს 1,1-10; ფს 97; ლკ 11,47-54

კურთხეულ არს ღმერთი,
მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ეფეს 1,3

ეფესელთა მიმართ წერილის კითხვას ვიწყებთ. მოციქული თავის ეპისტოლეს დასაწყისში განადიდებს ღმერთს, იესოს მამას, ვინც მზერა მოგვაპყრო და გულით ისურვა ჩვენი წმიდანობა და უბიწოება. უსასრულოა ღმერთის განდიდების მიზეზები და კიდევ უფრო მრავლდება ისინი იესოს შეცნობით, ვინც ყოველივე მამისაგან მიიღო და ჩვენ გვიზიარებს.

18 ოქტომბერი

პარასკევი
2024

წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ

(5.X) წმ. ღირსი გრიგოლ ხანძთელი, +861;
კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, VIII-IXსს.

2ტიმ 4,10-17; ფს 144; ლკ 10,1-9

დაადგინა სხვა სამოცდათორმეტი ლკ 10,1

აშკარად ცოტაა თორმეტი. იესო მთელ ბრბოს პოულობს, სამოცდათორმეტს. დღეს უკვე ამბობენ, რომ მხოლოდ მღვდლებს როდი აკისრებს მოვალეობებს, შენც მათ რიგებში ხარ, იმისათვის, რომ ბევრს აუწყო კეთილი ამბავი, თუ როგორ შეგვიძლია ვიცხოვროთ როგორც ცათა სასუფეველში ანუ სრულად მივენდოთ მამის სიყვარულს, ვინც მხოლოდ თავის შვილებს ხედავს დედამიწაზე. მზად ხარ?

19 ოქტომბერი

შაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVIII კვირა [IV], მწ

წმმ. იოანე დებრეფი, წმ. ისააკ ჟოგი, ხუცესნი და მათი მეგობარი იეზუიტები, წამებულნი, +1642–1649წწ
კანადასა და აშშ-ში; / წმ. პავლე ჯვრისა, ხუცესი, პასიონისტთა დამაარსებელი, +1775 რომში

ეფეს 1,15–23; ფს 8; ლკ 12,8–12

სულიწმიდის ცმობა არ მიეტევება ლკ 12,10

ვინ გაბედავს სულიწმიდის გმობას? და ვინ უარყოფს იესოს, როდესაც იცის, რომ იესო მამის მიერ მოვლენილი მაცხოვარია. რატომ არ მიეტევება? უბრალო მიზეზით: რამეთუ არ აღიარებს თავის ცოდვილ მდგომარეობას, არც ხსნა სურს და არც პატიება, კიდეც რომ უნდოდეს, ვისთან წავა? ვერავის იპოვის, ვინც მას მიუტევებს, ვინც მას დაიხსნის.

ეს 53,2.3.10-11; ფს 32; ებრ 4,14-16; მარ 10,35-45

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისთვის

ბარძიმს, რომელსაც ვსვამ, თქვენც შესვამთ მარ 10,39

მოწაფეები მზად არიან უპასუხონ, რომ სწადიათ შესვან იესოს ბარძიმი. მათ კარგად უწყიან რას ნიშნავს ეს: გაიზიარონ მისი ვნება. ამას იესოც ადასტურებს: გაიზიარებთ. ყოველ ჩვენგანს მიეცემა თავისი ჯვარი და ეს იქნება გზა, რითაც დადგება მის მარჯვნივ და მის მარცხნივ, რომ მასთან ერთად იმეფოს.

21 ოქტომბერი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXIX კვირა [I], მწ

ეფეს 2,1-10; ფს 99; ლკ 12,13-21

ვაცოცხლა ქრისტესთან ერთად ეფეს 2,5

წმიდა პავლე აკურთხებს ღმერთს ჩვენში აღსრულებულ სასწაულთა გამო, რისი წყალობითაც შევუერთდით მის ძეს. თვალს ავლებს წარსულს, როდესაც ყველა წარმართები ვიყავით, მანკიერებებში ჩაძირულები. იესომ იმდენად შეგვცვალა თავისი მოსვლით და თავისი სულიწმიდით, რომ უკვე ვცხოვრობთ არა ბიოლოგიური ცხოვრებით, არამედ ღმრთაებრივი, წმინდა, სულიერი, სიყვარულითა და სიხარულით სავსე ცხოვრებით. გავფრთხილდეთ, რომ უკან არ დავბრუნდეთ!

22 ოქტომბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXIX კვირა [I], მწ

წმ. იოანე პავლე II, პაპი, +2005 რომში

ეფეს 2,12-22; ფს 84; ლკ 12,35-38

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის

ემზად იყავით ლკ 12,35

უამრავ შეგონებას აძლევს იესო მას, ვინც ღმერთის სამეფოს ძიებაში გულმოდგინეობს. ერთ-ერთი შეგონება, რაც ხშირად მეორდება, სიფხიზლეა. რატომ? რადგანაც ყოველთვის ჩნდება ცხოვრებაში ღმერთისგან განდგომის ცდუნება. „ემზადეთ“ - ეს არის მოწვევა, რომ ნოეს მსგავსად მოვიქცეთ, რომელიც არ ბაძავდა სხვებს და ურყევად იდგა მამის მიერ გაცხადებული ნების აღსრულებაში.

23 ოქტომბერი

ოთხშაბათი:
2024:

წმ. იოანე კაპესტრანელი, ხუცესი, ფრანცისკელი, +1456
ილოკში (ხორვატეთი)

ეფეს 3,2-12; საგ.: ეს 12,2-6; ლკ 12,39-48

როცა არ ფიქრობთ, მაშინ მოვა კაცის ძე ლკ 12,40

კიდევ ერთხელ სიფხიზლეზე. იესო მარადმყოფია, როგორც თქვა, თუმცა ვინც ვერ ხედავს, შორსმყოფად მიიჩნევს. მეც... მოდით, საკუთარ თავსაც და სხვებსაც შევახსენოთ, რომ იგი „მოდის“ , იმისათვის, რომ მის მორჩილებად დავრჩეთ და მთელი ჩვენი ცხოვრება მის მსახურებაში ჩავაყენოთ.

24 ოქტომბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXIX კვირა [I], მწ

წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ., +1870;
ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების პატარა ქალიშვილთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1915

ეფეს 3,14-21; ფს 32; ლკ 12,49-53

ნათლოᲑით Უნდა მოᲒინათლოᲑ ლკ 12,50

რაზე ლაპარაკობ, იესო? სად აპირებ შთაფვლას? ტანჯვასა და სიკვდილში შეხვალ, რათა იქიდან სულ სხვა, ახალი, საოცარი ცხოვრებით გამოხვიდე. ამ ცხოვრებას ჩვენც ვეზიარებით, შენი მოწაფენი. იქნებიან ისეთნი, ვინც ტანჯვასა და სიკვდილს მოგვაყენებს შენთან ყოფნის გამო, მაგრამ შენ ყოველთვის აგვაღზევებ.

25 ოქტომბერი

პარასკევი 2024

რიგითი ჟამის XXIX კვირა [I], მწ

ეფეს 4,1-6; ფს 23; ლკ 12,54-59

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში ეფეს 4,2

ძვირფას შეგონებებს იძლევა მოციქული. მისი სურვილია უფრო მეტად ჩავერთოთ ღმერთის სამეფოში, რომელიც ამქვეყნიურ სამეფოს უპირისპირდება. მასში სიყვარული სუფევს. ცხოვრების ფორმა სხვებისგან გამოგვარჩევს და მამა ღმერთის არსებობას აცხადებს.

26 ოქტომბერი

შაბათი
2024

რიგითი ჟამის XXIX კვირა [I], მწ

ეფეს 4,7-16; ფს 121; ლკ 13,1-9

ბატონო, დატოვე ამ წელსაც ლკ 13,8

იესო იგავებით ლაპარაკობს, მას მხოლოდ ის იგებს, ვისაც უყვარს. იესოს მოყვარული ხვდება, რომ იგი მსახურია, ვინც თავს სწირავს ზედმეტი ჯაფის აღსასრულებად, ვნებისა და სიკვდილის ჯაფის, ოღონდაც ნაყოფი მოიტანოს, ოღონდაც ეკლესია დაიბადოს. მეც ვხვდები, რარიგ მომთმენია მამა ჩემს მიმართ, და მეც ვისაზრდოებ იესოს სიყვარულით, ვინც ჩემს გამო კვდება.

27 ოქტომბერი

კვირა
2024

რიგითი XXX კვირადღე, «ბ», [II], მწ

იერ 31,7-9; ფს 125; ებრ 5,1-6; მარ 10,46-52

ეამხნევდი! ადექ, ეიხმობს! მარ 10,49

წარმოიდგინეთ იმ ბრმის სიხარული, იესოს
რომ დაუძახა, რის გამოც იგი ბევრმა გაკი-
ცხა. ახლა კი, თავად იესო ეძახის. ის ბრმა,
მათხოვარი და გარიყულია, მაგრამ რწმენა
აქვს. ამან მიიქცია იესოს ყურადღება. რწმე-
ნამ გადაარჩინა ბრმა, რომ არ დარჩენილიყო
კაცთა აზრების ანუ ცოდვილების ტყვეობაში,
ასე მიუახლოვდა იესოს მოსასმენად.

28 ოქტომბერი

ორშაბათი
2024

წმმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

ეფ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მთელი ხალხი ცდილობდა შეხებოდა მას ლკ 6,19

შეეხეთ იესოს! მავანი იტყვის: რა განცდაა! სხვანი იტყვიან: რა განკურნებაა! მე კი ვამბობ, რომ არა მხოლოდ მისი შეხება ძალმიძს, არამედ ჭამაც. ის ჩემს სხეულს კურნავს, ჩემს სულს კურნავს, ურთიერთობებს კურნავს; მთელს სამყაროს ეფინება მადლი, როდესაც ქრისტეს ხორცს ვჭამ.

29 ოქტომბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXX კვირა [II], მწ

(16.X) წმ. ღირსი ზენომ იყალთოელი, მონაზონი, VIს

ეფეს 5,21-33; ფს 127; ლკ 13,18-21

ჰქადს საფუარს ლკ 13,21

საფუარს მხოლოდ მაშინ ხედავ, როცა უჯ-
რაშია, ხოლო როცა ცომში იყრება, ვეღარ
ხედავ, მაგრამ სწორედ მაშინ აკეთებს თავის
საქმეს, მაშინ ახდენს თავის სასწაულს. ღმე-
რთის სამეფოს, რასაც შენ იესოს სიყვარუ-
ლით განიცდი, ვერავინ ხედავს, მაგრამ „უხვი
ნაყოფი მოაქვს“, როდესაც უფლისმიერი
სიყვარულით გიყვარს.

30 ოქტომბერი

ოთხშაბათი: 2024

ეფეს 6,1-9; ფს 144; ლკ 13,22-30

ეცადეთ შეხვიდეთ ვიწრო კარით ლკ 13,34

ჭემარიტად ვიწროა შენი კარი, იესო! შენ თავად ხარ კარი, როცა ჯვარზე ხარ. ძალას მოვიკრებ! ეს რას ნიშნავს? იმას, რომ არად დაგიდევთ დაღლილობას, დამცირებას, არავის განვსჯი და განვკიცხავ, არც ჩემს ჯანმრთელობაზე ვიზრუნებ და არც რეპუტაციაზე.

31 ოქტომბერი

ხუთშაბათი
2024

ეფეს 6,10-20; ფს 143; ლკ 13,31-35

აჰა, მე ვდევნი ეშმაკებს და ვკურნავ ლკ 13,32

ეს მამის ნებაა იესოს მიმართ. მას არ აშინებს ჰეროდეს მტრობა. ღმერთის ნების აღმსრულებელს, ადამიანის არ ეშინია. ჰეროდე მელაა, რომელიც ცბიერი ზრახვებით მოქმედებს, მაგრამ ვინც მამის ნებას ასრულებს, უპირველესად, გონიერებას კი არ მოიხმარს, არამედ რწმენას, რათა ამ გზით მშვიდად ებარებოდეს მამის ხელებს.